

სიცარიელე, რომელიც სოციალურმა მეწარმეობამ შეავსო

ქალაქის ცენტრში და მისგან თუნდაც 10-20 კილომეტრით დაშორებული სოფლის მოსახლეობის ცხოვრება მკვეთრად განსხვავებულია. არც ისაა შემთხვევითი, რომ მიგრაცია დედაქალაქის მიმართულებით ძალიან მაღალია. ცენტრი იზიდავს ყველას - სამუშაოს მაძიებლებს, თუ მაღალი შემოსავლის მქონე ადამიანს. პერიფერიებსა და განსაკუთრებით მაღალმთიან სოფლებში კი განსხვავებული ვითარებაა. მაგალითად, ბათუმში, ხელვაჩაურის რაიონის 9 სოფელში 10 ათასზე მეტ ადამიანს, თუნდაც მისგან მოშორებით აზერბაიჯანის საზღვარზე სოფელ თამარიანის მოსახლეობას 2001 წლამდე არა თუ რეგულარულად მომუშავე ამბულატორია, სოფლის აფთიაქიც კი არ გააჩნდათ. სახელმწიფო ჯანდაცვის უფუნქციობასთან ერთად, ამ ტერიტორიებზე არც კერძო კლინიკები მოქმედებდა, ვინაიდან ადგილობრივი მოსახლეობა გადახდისუუნაროა, ბიზნესი კი, პირველ რიგში, მოგებით არის დაინტერესებული.

ორთაბათუმისა და თამარიანის სოფლებისთვის პირველი კომპლექსური სამედიცინო დაწესებულებები 2002 წელს საზოგადოებრივმა ორგანიზაცია „გენეზისმა“ გახსნა. საყურადღებოა, რომ სოფელ ორთაბათუმში სახელმწიფო ამბულატორია ფიზიკურად არსებობდა, მაგრამ 1980-იანი წლების ბოლოდან თითქმის არ ფუნქციონირებდა, გაუსაძლისი პირობების გამო. სოფელ თამარიანში არსებული სამედიცინო პუნქტისგან მხოლოდ ავარიულ მდგომარეობაში მყოფი შენობა იყო დარჩენილი, ამბულატორია კი დღემდე საკმაოდ დაშორებულ სოფელშია, სადაც მისვლა უზოზობისა და უტრანსპორტობის პირობებში სოფლის მოსახლეობას ძალიან უჭირდა, ხოლო ადგილზე მისულ ადამიანს შესაძლოა ექიმი კლინიკაში არ დახვედროდა.

"გენეზისის" მიერ თამარიანსა და ორთაბათუმში აღნიშნული სამედიცინო დაწესებულებების გახსნის მიზანი იმ ადამიანების დახმარება იყო, რომელთაც რეალური სამედიცინო მომსახურების მიღების საშუალება არ გააჩნდათ. ასოციაციამ ამ იდეის განხორციელება სოციალური მეწარმეობის განვითარებით შეძლო. აღსანიშნავია, რომ კლინიკების ტერიტორიაზე 2007 წლის ბოლოდან გაიხსნა სააფთიაქო პუნქტებიც, სადაც მედიკამენტები მინიმალურ ფასად იყიდება. ამასთან, 2007 წლიდან ცენტრი სახელმწიფო დაფინანსების სისტემაში ჩაერთო. სოფლის ექიმები, დღემდე მათი კლინიკით და აპარატურით სარგებლობენ. ასოციაციას ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული სადაზღვევო კომპანიებთანაც. როგორც „გენეზისის“ წარმომადგენლები განმარტავენ, მიღებული მოგება დიდ მასშტაბებს ვერ აღწევს, მაგრამ აქ მთავარი იმ მოსახლეობის დახმარება იყო, რომელთაც მანამდე სამედიცინო მომსახურების მიღების ალტერნატივა არ გააჩნდათ.

„გენეზისი“ კარგი მაგალითია იმისა თუ, როგორ შეიძლება საზოგადოების ინტერესების დაცვის პარალელურად, შეძლო განვითარება და ითანამშრომლო სახელმწიფოსთან. სოციალური მეწარმეობა სწორედ ამ სამი კომპონენტით ხასიათდება. მას უკავია

შუალედური რგოლი და კვეთს სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო სექტორებს. საზოგადოებრივი სექტორისგან ის სესხულობს საზოგადოებაზე, ადამიანებზე ზრუნვის მომენტს. კერძო სექტორისგან იღებს - ბიზნესის მიდგომებს. თუმცა ბიზნესმენებისგან განსხვავებით, მისი მიზანი მეწილეებისა და მფლობელის მოგების ზრდა არ არის. აქ პირველ რიგში მიღებული მოგება სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე იხარჯება. რის შედეგადაც, ამ ტიპის წარმოებას წვლილი შეაქვს კეთილდღეობის შექმნაში და უმუშევრობის დაძლევაში, ზრდის უფრო მდგრადი ეკონომიკის განვითარებისათვის შესაძლებლობას. ამ გზით, სახელმწიფოსთან მიმართებაში სოციალური მეწარმეობა ხშირად ასრულებს იმ ფუნქციებს, რაც ხელისუფლების მოვალეობაა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ვერ ხორციელდება.

საქართველოში ამ დროისთვის მოქმედი სოციალური საწარმოები, ძირითადად, საზოგადოებრივი სექტორის დაარსებულია. თუმცა, ამ კუთხით საქმიანობის დაწყება ნებისმიერ მსურველს შეუძლია. წამყვან ქვეყნებში არსებული გამოცდილების შესაბამისად, მსგავსი ტიპის წარმოებაში ხშირად სწორედ საერთო პრობლემის მატარებელი ადამიანები ერთიანდებიან. ვინაიდან, ამ ტიპის მეწარმეობა საშუალებას იძლევა ადამიანთა გარკვეულმა ჯგუფმა იზრუნოს და დამოუკიდებლად მოაგვაროს მათთვის აქტუალური სოციალური პრობლემები.

ჟურნალისტი სოფო ჯიაძე

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი